სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

24 ივლისი 2025

N 380/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. კასლეთზე შპს „კასლეთი 1“-ის 7.6 მგვტ სიმძლავრის „კასლეთი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კასლეთი 1“-ის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. კასლეთზე 7.6 მგვტ სიმძლავრის „კასლეთი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 7 თებერვალს მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. კასლეთზე შპს „კასლეთი 1“-ის 7.6 მგვტ სიმძლავრის „კასლეთი 1 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-120).

აღსანიშნავია, რომ სსდ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ მიერ განხორციელდა შპს „კასლეთი 1“-ის კუთვნილი ობიექტის გეგმური შემოწმება და გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 20 ნოემბერს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 და 79^8 მუხლების პირველი ნაწილების საფუძველზე, შპს „კასლეთი 1“-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №087845 და №087844 ოქმები, რომლებიც განსახილველად გადაეგზავნა მესტიის მაგისტრანტ სასამართლოს. სასამართლოს 2024 წლის 17 დეკემბერს №4/ა-90-24 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებაში და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. არსებული მდგომარეობით, სასამართლოს დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო სსდ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ მიერ შპს „კასლეთი 1“-ის მიმართ შემუშავებულია №004135 ადმინისტრაციული მიწერილობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, 7.6 მგვტ სიმძლავრის „კასლეთი 1 ჰესის“ მშენებლობა მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. კასლეთზე, ზღვის დონიდან 1350-1050 მეტრ ნიშნულებს შორის. „კასლეთი 1 ჰესის“ ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და ძალური კვანძი (ჰესის შენობა). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „კასლეთი 1 ჰესის“ სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის 12 მეტრი სიგრძისა და 3.77 მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის კონსტრუქციის დამბა და წყალაღება განსაზღვრულია გვერდითი წყალმიმღებით. დამბის ქვემოთ, წყალმიმღების მოპირდაპირე მხარის გასწვრივ, გათვალისწინებულია 22.5 მეტრი სიგრძის, კიბისებური, 10-საფეხურიანი თევზსავალი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სადაწნეო მილსადენი სათავეს იღებს სადაწნეო აუზიდან,

გადის ხეობის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, სამ წერტილში კვეთს მდ. კასლეთს (მდინარის ნაკადის ქვეშ, მიწისქვეშა სტრუქტურით) და უერთდება მდ. კასლეთის მარცხენა ნაპირზე გათვალისწინებულ ნაწილობრივ მიწისქვეშა ჰესის შენობას. სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენს 2055 მეტრს (დიამეტრი: 1100 მილიმეტრი; სისქე: 10 მილიმეტრი). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჰესის შენობაში გათვალისწინებულია ვერტიკალურ ღერძზე მდგარი 2 ერთეული (თითოეულის სიმძლავრე: 3.83 მგვტ) პელტონის ტიპის ტურბინა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპანიის მიერ განხორციელდა „კასლეთი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რაც გულისხმობს: ჰესის დადგმული სიმძლავრის 7.2 მგვტ-მდე შემცირებას; სათავე ნაგებობის, რკინაბეტონის კონსტრუქციის დამბის და თევზსავალის ადგილმდებარეობის/პარამეტრების ცვლილებას; სადაწნეო მილსადენის დერეფნის და მდ. კასლეთის გადაკვეთის მეთოდის ცვლილებას; ნახევრად მიწისქვეშა ჰესის შენობის მიწისზედა ჰესის შენობით ჩანაცვლებას. დოკუმენტის თანახმად, „კასლეთი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, ხოლო ნაწილი შესრულების პროცესშია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ჰესის შენობაში გათვალისწინებული თითოეული ტურბინის დაზუსტებული ნომინალური დადგმული სიმძლავრე, 3.83 მგვტ-ის ნაცვლად, შეადგენს 3.56 მგვტ-ს, რის შესაბამისადაც ჰესის დადგმული სიმძლავრე, 7.6 მგვტ-ის ნაცვლად, გახდა 7.2 მგვტ. სათავე ნაგებობა, განთავსების ნიშნულის უცვლელად, მოეწყო მდ. კასლეთის მარცხენა სანაპიროს მხარეს, საბაზისო პროექტით განსაზღვრული ადგილიდან დაახლოებით 15 მეტრის დაშორებით. რკინაბეტონის კონსტრუქციის დამბის სიგრძე, საბაზისო პროექტით განსაზღვრული 12 მეტრის ნაცვლად, შეადგენს 19.95 მეტრს, ხოლო სიმაღლე უცვლელია. საბაზისო პროექტით მდ. კასლეთის მარცხენა მხარეს გათვალისწინებული თევზსავალის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარჯვენა მხარეს, წყალმიმღების სიახლოვეს, შეცვლილი პარამეტრებით. კერძოდ, 10-საფეხურიანი თევზსავალის ნაცვლად, გათვალისწინებულია 11-საფეხურიანი თევზსავალი, რომლის სიგრძე, საბაზისო პროექტით განსაზღვრული 22.5 მეტრის ნაცვლად, შეადგენს 25.73 მეტრს, ხოლო თევზსავალის საფეხურების სიგრძე და სიგანე უცვლელია. საბაზისო პროექტით სადაწნეო მილსადენის დერეფანი გადიოდა არსებული საავტომობილო გზის მიმდებარე ფერდობებზე, ხოლო ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სადაწნეო მილსადენი გადის საავტომობილო გზის სიახლოვეს. აღნიშნული ცვლილებით, ზოგიერთ მონაკვეთზე, საჭირო გახდა საპროექტო დერეფნის გაფართოება, რის შედეგადაც პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორია, საბაზისო პროექტთან მიმართებით, გიზარდა 11 979 მ^2-ით, რაც 31 437 მ^2-ის ნაცვლად, შეადგენს 43 416 მ^2-ს. ამასთან, სადაწნეო მილსადენის მიერ მდ. კასლეთის გადაკვეთა გათვალისწინებულია საბაზისო პროექტით განსაზღვრული ხიდების ბურჯების საშუალებით, ნაცვლად მდინარის ნაკადის ქვეშ, მიწისქვეშა სტრუქტურით გადაკვეთისა. სადაწნეო მილსადენის დიამეტრი საბაზისო პროექტით განსაზღვრული 1100 მილიმეტრის ნაცვლად, შეადგენს 1000 მილიმეტრს, ხოლო სიგრძე და გამტარუნარიანობა უცვლელია. საბაზისო პროექტით განსაზღვრული ნახევრად მიწისქვეშა ჰესის შენობის მიწისზედა ჰესის შენობით ჩანაცვლება განპირობებულია მიმდებარე კლდოვანი ფერდობის ექსკავაციის სამუშაოებთან დაკავშირებული რისკების შემცირებით. ჰესის შენობის ზომები 27 x 13 x 11.6 მეტრის ნაცვლად, შეადგენს 24 x 12 x 11.6 მეტრს. ჰესის შენობაში 2 ერთეული, თითოეული 4.700 კვა გენერატორის ნაცვლად, მოწყობილია 2 ერთეული, თითოეული 4.412 კვა გენერატორი, ხოლო ჰესის შენობაში გათვალისწინებული ქვესადგური, ტექნიკური პარამეტრებს და ძალოვანი ტრანსფორმატორების რაოდენობის უცვლელად, განთავსებულია ჰესის შენობის გარეთ მოწყობილ მიშენებაში. ქვათაცვენის რისკებთან დაკავშირებული ზემოქმედების შემცირების მიზნით, საბაზისო პროექტით განსაზღვრული

ქვათაცვენის საწინააღმდეგო ორმაგი მავთულის ბადის ნაცვლად, ჰესის შენობასა და მიმდებარე კლდოვან ფერდობს შორის მოწყობილია 12.0 მეტრი სიმაღლის და 33.0 მეტრი სიგრძის რკინაბეტონის საყრდენი კედელი, რომელიც დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე. საყრდენ კედელსა და მიმდებარე კლდოვან ფერდობს შორის მოქცეული არეალი შევსებულია ადგილობრივი გრუნტით, ხოლო საყრდენი კედლის უკან განთავსებულია რკინაბეტონის სადრენაჟო ღარი (სიმაღლე: 0.5 მეტრი, სიგანე ძირზე: 1.0 მეტრი). კლდოვანი ფერდობის მხრიდან, საყრდენი კედლის ზედაპირები დაფარულია ორმაგი ბიტუმის ჰიდროსაიზოლაციო ფენით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები არ არის დაკავშირებული საბაზისო პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების მოცულობების ზრდასთან და დამატებითი სამშენებლო ტექნიკის/სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საჭიროებასთან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებით საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია საბაზისო პროექტით განსაზღვრულ არეალში და უახლოეს დასახლებულ პუნქტებთან დაშორების მანძილების ცვლილებას ადგილი არ აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირებდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას, რაც დეტალურად იქნა შესწავლილი გზშ-ის ეტაპზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია მიწისზედა ჰესის შენობა, სადაწნეო მილსადენის დერეფნის ცვლილებით მიმდებარე კლდოვანი ფერდობის ექსკავაციის სამუშაოების შესრულება საჭიროებას არ წარმადგენს, ასევე შემცირებულია სადაწნეო მილსადენის დიამეტრი და მდ. კასლეთის გადაკვეთა ხდება ხიდების ბურჯების საშუალებით, მცირდება საბაზისო პროექტით განსაზღვრული ექსკავირებული გრუნტის მოცულობა. საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განსათავსებლად სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან“ შეთანხმებულია ფუჭი ქანების სანაყაროს დეტალური პროექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივ ცვლილებას ადგილი არ აქვს, ხოლო ნარჩენების მართვა ხორციელდება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან“ შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების თვალსაზრისით საყურადღებოა სათავე ნაგებობის პროექტში შეტანილი ცვლილებები. როგორც უკვე აღინიშნა, შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობების გაზრდას, საბაზისო პროექტთან მიმართებით, ადგილი არ აქვს. ამასთან, თევზსავალის მდ. კასლეთის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეს (წყალმიმღების სიახლოვეს) გადატანით, წყალმცირობის პერიოდში საჭირო წყლის ხარჯის მოწოდების კუთხით, უმჯობესდება თევზსავალის ექსპლუატაციის პირობები, ხოლო სადაწნეო მილსადენის მიერ მდ. კასლეთის ხიდების ბურჯებით გადაკვეთით, ნაცვლად მდინარის ნაკადის ქვეშ, მიწისქვეშა სტრუქტურით გადაკვეთისა, მცირდება მდ. კალსეთის წყლის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ კორესპონდენციის თანახმად, shp ფაილებით წარმოდგენილი 44 099 $მ^2$ ტერიტორიიდან 6 645 $მ^2$ ხვდება სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეოში (კვარტალი №24, №25, №26, №39). სახელმწიფო ტყეში მდებარე 6 645 $მ^2$ ფართობიდან 6 261 $მ^2$ ნაწილობრივ ან სრულად ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებთან – ს/კ: 42.16.42.956; 42.16.42.960; 42.16.42.958; 42.16.42.959; 42.16.42.949; 42.16.42.033; 42.16.42.941; 42.16.42.710; 42.16.42.717; 42.16.42.940; 42.16.42.076; 42.16.42.961; 42.16.42.957; 42.16.42.948; 42.16.42.947; 42.16.42.950. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სახელმწიფო ტყეში მდებარე ტერიტორიაზე შპს „კასლეთი 1“-ის მიერ მოპოვებული იქნება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

დოკუმენტში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე დამატებით ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, სადაც ცხოველებისთვის განსაკუთრებით სენსიტიური ჰაბიტატები არ გამოკვეთილა, ასევე, არ დაფიქსირებულა „წითელ ნუსხის“ მცენარეთა სახეობები. სადაწნეო მილსადენის შეცვლილი დერეფანი მიუყვება მდ. კასლეთის ხეობაში გამავალ, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ მეორად გრუნტის გზას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიის გაფართოებისა, სადაწნეო მილსადენის დერეფნის ოპტიმიზაციის შედეგად, შემცირდა ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა. დოკუმენტის თანახმად, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

სკრინინგის განცხადებაში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია მიმდებარედ არსებულ „კასლეთი 2 ჰესთან“ მიმართებით, მდ. კასლეთის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და მყარი ნატანის ტრანსპორტირების პირობებზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ზემოქმედების აღნიშნული სახეები დეტალურად იქნა განხილული გზშ-ის ანგარიშში და განისაზღვრა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება კუმულაციური ზემოქმედების რისკების გაზრდას და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შემცირება შესაძლებელია გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები არ უკავშირდება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. კასლეთზე შპს „კასლეთი 1“-ის 7.6 მგვტ სიმძლავრის „კასლეთი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „კასლეთი 1“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 7 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-120) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „კასლეთი 1“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;
4. შპს „კასლეთი 1“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება“, სადაც კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, წარმოდგენილი იქნება მდ. კასლეთის ეკოსისტემასა და იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. მონიტორინგის გეგმაში, წყლისა და წყალზე დამოკიდებული სახეობების დაცვის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს თევზსავალის ეფექტიანობაზე, ხოლო მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან პრევენციული ღონისძიებები. თევზების მიგრაციის დროს დაბრკოლებების შემცირების და მათი ბუნებრივი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს ნატანი მასალისგან თევზსავალის რეგულარული გაწმენდა;
5. შპს „კასლეთი 1“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 7 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-120) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კასლეთი 1“-ს და სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასლეთი 1“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/380-21-4-202507241324

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE